ანგარიში

საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის მიერ 2013 წლის სექტემბრის თვიდან 2014 წლის 1 სექტემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ

კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის, კომიტეტის დებულებით განსაზღვრულ უფლება - მოვალეობათა ფარგლებში.

კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს საკანონმდებლო საკითხების მომზადებას, ხელს უწყობს პარლამენტის გადაწყვეტილებათა შესრულებას, ახორციელებს კონტროლს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და მთავრობის საქმიანობაზე..

კომიტეტის ამოცანებია: სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა. აგრარული რეფორმების, სასურსათო უზრუნველყოფის, მიწის რესურსების, აგრარული განათლებისა და მეცნიერების, აგრომომსახურებისა დ აფერმერთა საკითხებთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემუშავება. აგრარულ სექტორში რეფორმების გატარების, აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსის პოტენციალის სრულად გამოყენების, მისი დარგები საღორძინებისა და დაჩქარებული განვითარების ხელშეწყობა.

კომიტეტის სხდომების სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში აგრარულ საკითხთა კომიტეტის მიერ კანონშემოქმედებითი საზედამხეველო ფუნქციების განხორციელების მიზნით გაიმართა კომიტეტის 35 სხდომა. განხილულია 84 საკითხი. აქედან 71 კანონშემოქმედებითი და 13 საზედამხედველო საქმიანობის კუთხით. კომიტეტის მიერ ჩატარებულია 4 სამუშაო შეხვედრა. კომიტეტის წევრებმა საანგარიშო პერიოდში სამუშაო შეხვედრები გამართეს რეგიონებში. კომიტეტის წევრების მიერ სოფლის მოსახლეობასთან, ფერმერებთან, აგრარულ სექტორში დასაქმებულ პირებთან შეხვედრების დროს წამოჭრილი საკითხები იყო კომიტეტის სხდომებზე განხილვის თემა.

<u>კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ანალიზი</u>

აგრარულ საკითხთა კომიტეტი აქტიურად მონაწილეობდა პარლამენტის კანონშემოქმედებით საქმიანობაში. საანგარიშო პერიოდში კომიტეტში ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა კანონპროექტებზე: „აგროდაზღვევის შესახებ" და „ქარსაფარი ზოლების შესახებ ". აგრო დაზღვევის კანონპროექტის შემუშავების ფარგლებში დაიწყო აქტიური შეხვედრები სადაღვევო კომპანიებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ექსპერტებთან, შეიქმნა აგრო დაზღვევის კანონზე მომუშავე ჯგუფი. აგრო დაზღვევის კანონის პროექტის შემუშავება და მიღება კომიტეტის 2014 წლის საშემოდგომო სესიის ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება.

<u>აღსანიშნავია საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები, რომლებზეც კომიტეტი წარმოადგენდა წამყვან კომიტეტს:</u>

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კანონის მიღების მიზანია საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებების გადაცემა საქართველოს მთავრობისათვის. კანონპროექტით დამატებული 7^5 მუხლით საქართველოს მთავრობას 2014 წლის 1 აპრილამდე განესაზღვრა ვალდებულება, რომ უზრუნველყოს შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღება. აღნიშნული ნორმატიული აქტების მიღებამდე იურიდიულ ძალას შეინარჩუნებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული შესაბამისი ბრძანებულებები.

„სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში" ცვლილების შეტანის შესახებ.

კოდექსის თანახმად, სარეალიზაციოდ განკუთვნილი სურსათი/ცხოველის საკვები ეტიკეტირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ვინაიდან, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის" კოდექსში არ არის გათვალისწინებული აღნიშნული ვალდებულების დარღვევისათვის სანქცია, კოდექსს დაემატა 74^2 მუხლი, რომლის თანახმად, სურსათის/ცხოველის საკვების ეტიკეტირების წესის დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას

400 ლარის ოდენობით. ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, წლის განმავლობაში – გამოიწვევს დაჯარიმებას 1200 ლარის ოდენობით. გარდა ზემოაღნიშნულისა, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის“ კოდექსის თანახმად, 2014 წლის იანვრიდან ცხოველის დაკვლის პროცესზე ზედამხედველობა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი - მე-5 ნაწილები ამოქმედდეს 2014 წლის პირველი ივლისიდან.“.

.საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი - „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

კანონში ცვლილების შეტანის აუცილებლობა განპირობებულია სახელმწიფო ქონების, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სარგებლობაში გადაცემის პოლიტიკის მიზანშეწონილობის განსაზღვრის, საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობის, სახელმწიფო ქონების განკარგვისა და სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულებების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების და ამ კონტექსტში საქართველოს მთავრობის კომპეტენციის დაზუსტების აუცილებლობით.

პროექტის მიღების მიზანია სახელმწიფო ქონების, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების, სარგებლობაში გადაცემის პოლიტიკის ახლებურად განსაზღვრა, საპრივატიზებო პირობების შეცვლის ეკონომიკურად ეფექტური საკანონმდებლო მექანიზმის შექმნა და სახელმწიფო ქონების განკარგვასა და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებების დაკონკრეტება. ასევე, განსახილველი კანონის მისადაგება საქართველოს ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასთან და სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო პირობების შესრულების მიღების/დადასტურების მოქნილი პროცედურების შექმნა.

საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი - „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

კანონპროექტის მიღების მიზანია კანონში იმ გამონაკლისი შემთხვევების გათვალისწინება, რომლის დროსაც კონკრეტული საქმიანობით დაკავებულ პირებს, კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ კომერციულ ბანკებს, მათი საქმიანობის სპეფიციკიდან გამომდინარე, მოეხსნებათ კანონით დადგენილი დროებითი

შეზღუდვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების შეძენასთან დაკავშირებით. აღნიშნული სუბიექტების, კერძოდ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კომერციული ბანკების გათვალისწინება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მათი საქმიანობა ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია უძრავ ქონებაზე, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების შეძენასთან. კანონით დადგენილი დროებითი მორატორიუმი კი შეაფერხებს ამ პერიოდში მიმთითებული პროცესის წარმართვას და ამდენად, უარყოფითად აისახება კომერციული ბანკების საქმიანობაზე.

საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტები: „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

კანონპროექტების მიღების მიზეზია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროების ყველა მარეგულირებელი ნორმის შეტანის აუცილებლობა ევროკომისიის ზოგადი მიდგომის გათვალისწინებით. პროექტის მიზანია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მომხმარებელთა ინტერესების, ასევე, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, მცენარეთა სიჯანსაღის დაცვა, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა, სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია, საქართველოში სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მყარი სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. აღნიშნულმა პროექტმა მოიცვა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროების ყველა მარეგულირებელი ნორმა და ზოგადი პრინციპები. კოდექსი გავრცელდება სურსათის/ცხოველის საკვების, მცენარის, ცხოველის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების წარმოებაზე, გადამუშავებასა და დისტრიბუციაზე, რომლებიც ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, აგრეთვე პირველად წარმოებაზე, ცხოველთა ჯანმრთელობაზე, ვეტერინარულ პრეპარატებზე, მცენარეთა სიჯანსაღეზე, პესტიციდებსა და აგროქიმიკატებზე.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონპროექტის მომზადება განპირობებულია „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადებით

და მისი მიზანია ამ კანონის 20^1 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისობაში მოყვანა „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში" ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტთან. პროექტის თანახმად, ფართოვდება იმ სუბიექტთა საქმიანობის სფეროს ჩამონათვალი, რომლებიც ვალდებულნი არიან დარეგისტრირდნენ ბიზნესოპერატორებად და ასევე, მათი საქმიანობის შესახებ მიუთითონ სარეგისტრაციოდ წარდგენილ დოკუმენტაციაში.

„მეწარმეთა შესახებ" კანონპროექტის მომზადება განპირობებულია „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში" ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის მომზადებით, რომლის თანახმად, ახალი რედაქციით ყალიბდება ბიზნესოპერატორის განმარტება. კერძოდ, „ბიზნესოპერატორი წარმოადგენს მეწარმე სუბიექტს, რომლის საქმიანობა უკავშირდება სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტის, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის, აგროქიმიკატის წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში მომსახურებას, რომელიც პასუხისმგებელია მისი საქმინობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე".

<u>კომიტეტმა მხარი დაუჭირა:</u>

საქართველოს პარლამენტის წევრის გიორგი ცაგარეიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტს - „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ"

კანონპროექტის მიღების მიზეზია უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის უნიკალური, იშვიათი ბუნებრივი წარმონაქმნების და კულტურული არეალების მქონე ტერიტორიების დაცვა და აღდგენა შემდგომში მათი სამეცნიერო, ტურისტული და რეკრეაციული მიზნით გამოყენებისათვის. მისი მიზანია უზრუნველყოს ბუნების ძეგლების კატეგორიის დაცული ტერიტორიების შექმნა და მათზე „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" კანონის შესაბამისი კატეგორიის ბუნების ძეგლის სტატუსის მინიჭება.

საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი - „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" თანდართულ მასალებთან ერთად; „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და

მიმართულებები 2014-2017 წლებისათვის“ დოკუმენტი და საქართველოს მთავრობის მოხსენება - „2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“

კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლით დაკისრებული ვალდებულება; პროექტის მიხედვით განისაზღვრება 2014 წლის განმავლობაში მისაღები შემოსავლებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლები. 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად ემსახურება სამთავრობო პროგრამის - „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ შესრულებას, რამაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური დაცვა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ღონისძიებები, სხვადასხვა სფეროში მიმდინარე რეფორმების გარდა, საშუალებას იძლევა რადიკალური ცვლილებები განხორციელდეს ჯანდაცვის, საპენსიო და სოციალური დაცვის, განათლების და სოფლის მეურნეობის სფეროებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2014 წლის ბიუჯეტით მნიშვნელოვნად იზრდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასიგნებები. 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში და მომავალი წლის პროგნოზები.

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მიერ წარმოდგენილ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტს - „საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის“ დამტკიცების თაობაზე“

საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტის ,,საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის შესახებ“ მომზადება განაპირობა სატყეო სფეროში არსებულმა პრობლემებმა, რომლებიც პირდაპირ აისახება ტყეების მდგომარეობაზე. სატყეო სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრისათვის, ასევე, ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის, სიღარიბის აღმოფხვრის ხელშეწყობისა და ადამიანების კეთილდღეობისათვის, ეროვნული სატყეო პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს: ქვეყანაში ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვას, ტყეების ეკოლოგიური ფასეულობების გათვალისწინებით მათი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას, ტყის მართვის საკითხებში საზოგადოების მონაწილეობას და მიღებული სარგებლის სამართლიან გადანაწილებას.

საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს ორგანული კანონის პროექტს: „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და მისგან გამომდინარე საქართველოს კანონის პროექტები

კანონპროექტის მიღების მიზანია ჩამოყალიბდეს საერთო სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების მქონე ერთეულები განვითარების ერთიანი პერსპექტივით, მოხდეს ქალაქების ურბანული განვითარება. თემებში შეიქმნეს ადგილობრივი თვითმმართველობა პირდაპირი წესით არჩეული საკრებულოებისა და მერების(გამგებლების) სახით, რაც ხელს შეუწყობს ადგილებზე რეალური, ანგარიშვალდებულების სისტემის ჩამოყალიბებას და მოქალაქეთა ჩართულობას. თვითმმართველ ერთეულში შემავალ ყოველ დასახლებას (სოფლის, დაბის, ქალაქის) კანონით ექნება გარანტირებული ამ დასახლებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, მათ შორის საბიუჯეტო პრიორიტეტების განსაზღვრაში მონაწილეობის ქმედითი მექანიზმები.

საქართველოს პარლამენტის წევრის, ზურაბ ტყემალაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტს - „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

პროექტის მიღების მიზეზია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრისა და წევრ-კორესპონდენტის და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილის წევრისა და წევრ-კორესპონდენტის ანაზღაურებებს შორის არსებული მკვეთრი შეუსაბამობა. ცვლილების მიზანია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის და წევრ-კორესპონდენტის ანაზღაურების გაზრდა. წარმოდგენილი პროექტით იცვლება მე-16[1] მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის მიხედვითაც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს და წევრ-კორესპონდენტს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ენიშნებათ ყოველთვიური ანაზღაურება შესაბამისად, არანაკლებ 1400 და 900 ლარისა.

საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტს - „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ“.

გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობის, მიზანია გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა და გაძლიერება; გენდერულად მგრძნობიარე კანონმდებლობის შექმნა, განათლება და ცნობიერების ამაღლება, რომლის მიზანია: განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირება და საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება; გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ეკონომიკის სფეროში, მიზანი: ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობა; ჯანმრთელობის და სოციალური დაცვა - მიზანი: ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სფეროში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება; ადგილობრივ დონეზე გენდერული

თანასწორობის უზრუნველყოფა - მიზანი: ადგილობრივ პოლიტიკაში გენდერული ასპექტების გათვალისწინება; ქალი და პოლიტიკა - მიზანი: გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა; გარემოს დაცვის სფერო - მიზანი: გარემოს დაცვის საკითხებში ქალების და კაცების თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა; სამართალდამცავი სფერო - მიზანი: ამ სფეროში გენდერული ასპექტების გათვალისწინება.

საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტს: „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ"

ცვლილება შევიდა გარდამავალ დებულებებში, კერძოდ ტექნიკური რეგლამენტების ნუსხის შემუშავების, დამტკიცებისა და გამოქვეყნების ვადები გადაიწია ერთი წლით. კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია ზემოთაღნიშნული დადგენილებებისა და დოკუმენტების მომზადებისათვის ვადების გაგრძელება. მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ.

საქართველოს პარლამენტის წევრების გიორგი ცაგარეიშვილის, ერეკლე ტრიპოლსკისა და ზურაბ ზვიადაურის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტს - „ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ"

„ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ". კანონპროექტის პროექტის მიღების მიზეზია აღმოსავლეთ კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში (ისტორიული ფშავ-ხევსურეთი) არსებული აღმოსავლეთი კავკასიონის ტერიტორიის სამხრეთ და ჩრდილოეთ ფერდობების, მდინარეების ასას, არღუნის, ანდაგისწყალის, ხევსურეთის არაგვის და ფშავის არაგვის ხეობების არსებული ეკოსისტემების მთა-ტყის, სუბალპური ტყე-მდელოების, ალპური მდელოების, სუბნივალური და ნივალური ლანდშაფტების პირვანდელი სახისა და ბუნებრივ-ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება და დაცვა. პროექტის მიღების მიზანია ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად, ხელი შეუწყოს აღმოსავლეთ კავკასიონის ცენტრალური ნაწილის ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვას, აღდგენას და გონივრულ გამოყენებას, მისი ბუნებრივი ეკოსისტემების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს დაცვას, აღდგენას და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას. ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის და ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების სამართლებრივი მექანიზმების ჩამოყალიბებას.

საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტს - „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

პროექტის მიღების მიზანია, სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამნისტროს ლაბორატორიის საქმიანობა შესაბამისობაში მოვიდეს არსებულ კანონმდებლობასთან.

საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტებს: „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

პროექტის მიზანია საქართველოს მიერ კარტახენის ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და საქართველოს კანონმდებლობაში ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებასთან დაკავშირებული რეგულაციების ასახვა. კერძოდ: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს კომპეტენციის სფეროდ განისაზღვრება ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სახელმწიფო მართვისა და კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობა, ასევე, ცოცხალი გმო-ს ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების ლიცენზიის გაცემა, ამ ლიცენზიისათვის სალიცენზიო მოსაკრებლის დადგენა, სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენა ცოცხალი გმო-ს საქმიანობის სფეროში დადგენილი წესების დარღვევისათვის და შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების ასახვა.

საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილ 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“

წარმოდგენილი შეთანხმების მიღების მიზანია: ხელი შეუწყოს მხარეებს შორის პოლიტიკურ ასოცირებას და ეკონომიკურ ინტეგრაციას; მხარი დაუჭიროს საქართველოს ძალისხმევას, განავითაროს მისი ეკონომიკური პოტენციალი საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით, მათ შორის მისი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების გზით; მიაღწიოს ევროკავშირის შიდა ბაზართან

საქართველოს ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას, განსაკუთრებით, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნის გზით.

„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშს“ და ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებებს.

წარმოადგენილი იქნა ინფორმაცია 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების შესახებ, ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ (სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამების ფარგლებში შედის: ქვეყნის აგრარულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეფორმების განხორციელება ეროვნული ტრადიციებისა და საერთაშორისო გამოცდილებით).

ნდობის მისაღებად წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის განახლებული შემადგენლობის პროგრამას - „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ და საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ საქართველოს მთავრობის შემადგენლობას განხილვა.

მთავრობის პრიორიტეტია ძლიერი, ეფექტიანი, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა. იმისათვის, რომ დემოკრატიულ რეფორმებს შეუქცევადი ხასიათი მიეღო და განხორციელებულიყო ფართომასშტაბიანი რეფორმები, მნიშვნელოვნად შეიცვალა საკანონმდებლო ბაზა, უზრუნველყოფილ იქნა სახელმწიფო ორგანოების დაბალანსებული მუშაობა; დაიწყო რეალური თვითმმართველობის მშენებლობის პროცესი. რამდენიმეეტაპიანი ფუნდამენტური რეფორმა ხორციელდება მართლმსაჯულების სფეროში; უზრუნველყოფილია მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის არსებობა; უზრუნველყოფილია გამოხატვის თავისუფლება, დაიწყო პოლიტიკური წნეხისგან თავისუფალი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება; შემუშავების პროცესშია ქვეყნის უახლოესი, საშუალო და გრძელვადიანი განვითარების პოლიტიკა.

კომიტეტმა, საქართველოს კონსტიტუციის 81^1-ე მუხლის შესაბამისად, ფარული კენჭისყრით (10 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი), მხარი დაუჭირა ნდობის მისაღებად წარმოდგენილ საქართველოს მთავრობის განახლებული შემადგენლობის პროგრამას - „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“

საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტს „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

აღნიშნული ცვლილების მიღების მიზანი იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დამატებითი საგადასახადო შეღავათების დაწესება, თამბაქოს მოხმარების შემცირების აუცილებლობა, ქველმოქმედების ხელშეწყობა. აგრეთვე, მეწარმეთა მხრიდან განხორციელებული ქველმოქმედების წახალისება და თამბაქოს მოხმარების შემცირების მიზნით სიგარეტებისათვის (ადგილობრივი და იმპორტირებული) აქციზის არსებული განაკვეთის გაზრდა. ასევე წარმოდგენილი ცვლილებით 2017 წლის 1 იანვრამდე საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდება: ა) სასოფლო-სამეურნეო წარმობაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200000 ლარს. ბ) სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ ამ საქმიანობის ფარგლებში გაცემული ხელფასი, თუ დამქირავებლის ამ საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200000 ლარს.

კომიტეტმა განიხილა საქართველოს პრეზიდენტის მიმართვა საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წლის 30 ივლისს მიღებული და ხელმოსაწერად წარდგენილი - „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შენიშვნებით დაბრუნების თაობაზე.

კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნებს საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წლის 30 ივლისს მიღებული და ხელმოსაწერად წარდგენილი - „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეომიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თაობაზე.

კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა საქართველოს პარლამენტის საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების“ მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონების პროექტებს: „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“ და „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განსახილველად.

საკანონმდებლო წინადადებების განხილვა

კომიტეტმა განიხილა საქართველოს მოქალაქის ნ. კიკნაძის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტის თაობაზე. აღნიშნული ცვლილების მიხედვით გადასახადის გადამხდელი განთავისუფლდება ქონების გადასახადისაგან მის საკუთრებაში არსებულ იმ ქონებაზე, რომლებიც დარეგისტრირებულია როგორც დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტები და რომლებითაც ვერ სარგებლობს იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საცხოვრებლად გამოყენების გამო. გადამხდელს ჩამოეწერება ასეთ ქონებაზე (მათ შორის მიწაზე) დარიცხული და შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულება (ქონების გადასახადის ნაწილში) ასევე, გადასახადის გადამხდელს ჩამოეწერება ასეთ ქონებაზე (მათ შორის მიწაზე) დარიცხული და შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულება (ქონების გადასახადის ნაწილში). კომიტეტმა მხარი დაუჭირა მოქალაქე ნუგზარ კიკნაძის მიერ წარმოდგენილ საკანონმდებლო წინადადებას - „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით და გამოთქვა მზადყოფნა იმის თაობაზე, რომ იმუშაოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან პარლამენტის საგაზაფხულო სესიისთვის, აღნიშნულ საკანონმდებლო წინადადებაზე კანონპროექტის მოსამზადებლად.

კომიტეტმა განიხილა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს", საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატისა და საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარებისა და მხარდაჭერის ასოციაციის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადების - „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით. კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს", საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატისა და საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარებისა და მხარდაჭერის ასოციაციის მიერ წარმოდგენილ საკანონმდებლო წინადადებას - „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომელიც უარყოფილ იქნა. ამასთან ერთად, კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია გაგრძელდეს მუშაობა კანონპროექტთან დაკავშირებით და ეთხოვოს საკანონმდებლო წინადადების ავტორებს, დაინტერესებულ პირებთან ერთად, ჩაერთონ აღნიშნული საკითხის განხილვაში.

კომიტეტმა განიხილა ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება - „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით. კომიტეტის გადაწყვეტილებით, საკანონმდებლო წინადადება უარყოფილ იქნა. ამასთან ერთად, კომიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს გაგრძელდეს მუშაობა აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით და ავტორებს მიეცათ წინადადება, მიიღონ მონაწილეობა მის შემუშავებასა და განხილვაში.

2. საზედამხედველო საქმიანობა

საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, კომიტეტი ახორციელებდა კონტროლს საქართველოს მთავრობის საქმიანობაზე. ამ მიზნით გაიმართა როგორც კომიტეტის სხდომები, ასევე გამოთხოვილი იქნა შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს მთავრობის სტრუქტურული ერთეულებიდან. კომიტეტი განსაკუთრებით ნაყოფიერად თანამშრომლობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. საანგარიშო წლის პერიოდში გაიმართა აგარარულ საკითხთა კომიტეტის 13 სხდომა მიეძღვნა მთავრობის წარმომადგენლების მოსმენებს სხვადასხვა საკითხებზე.

- აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2013 წლის 1 ნოემბერის სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარემ გ. აგულაშვილმა წარმოადგინა ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2013 წლის საშემოდგომო სესიის საზედამხედველო საქმიანობის გეგმის თაობაზე. მან კომიტეტის წევრებს დეტალურად გააცნო განსახილველი საკითხები.

- აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2013 წლის 1 ნოემბერის სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარემ გ. აგულაშვილმა წარმოადგინა ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობის თაობაზე, მან კომიტეტის წევრებს წარუდგინა კანდიდატურები: აკადემიკოსი გურამ ალექსიძე - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი თენგიზ ყურაშვილი, ნოდარ ჩხარტიშვილი, ასევე, ახალგაზრდა

მეცნიერები: ფატიმა მამარდაშვილი, ავთანდილ აბდუშელიშვილი, ირაკლი კოჭლამაზაშვილი, გიორგი ნიშნიანიძე, ირაკლი ყიფიანი.

- პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა თბილისში, სასტუმრო "ბეტსში". საბჭოს პირველი სხდომის ძირითად მიზანს სამომავლო საქმინობის დაგეგმვა, პარლამენტის კომიტეტის და სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს ერთობლივი მუშაობის კოორდინაცია წარმოადგენდა. საბჭო, რომელშიც გართიანებული არიან მეცნიერ-აკადემიკოსები, ახალგაზრდა სპეციალისტები და დოქტორანტები, საზოგადოებრივ საწყისებზე იმოქმედებს და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარების კონცეფციებს შეიმუშავებს. სხდომაზე გაიმართა დისკუსია საბჭოს ფუნქციონირებისათვის საჭირო საორგანიზაციო საკითხებზე, მომავალ საქმიანობაზე. თითოეული დარგის მიმართულებით შეირჩნენ ხელმძღვანელები, რომლებიც კოორდინირებულად იმუშავებენ და მომავლისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიულ გეგმას წარმოადგენენ.

- აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2013 წლის 12 დეკემბრის სხდომაზე სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ დავით გალეგაშვილმა წარმოადგინა ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2013 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. მან წარმოადგინა 2012 წლის ნოემბრიდან სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული და 2014 წელს დაგეგმილი პროექტები.

- კომიტეტმა 2013 წლის 12 დეკემბრის სხდომაზე მოისმინა ინფორმაცია მარცვლეული კულტურების მეთესლეობის განვითარების ხელშეწყობის შესახებ, რომელიც წარმოადგინა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ დავით გალეგაშვილმა. მან ისაუბრა საქართველოში მარცვლეულის ჯიშთა გამოცდის სამსახურის ორგანიზების, ყველა ნიადაგურ-კლიმატური ზონებისათვის ოპტიმალური ჯიშების და ჰიბრიდების გამოვლენის მნიშვნელობაზე. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის გაზაფხულიდან იგეგმება სიმინდისა და სოიოს ჯიშთა-გამოცდის პროექტის დაწყება. ჯიშთა-გამოცდაში დაყენებული და მოძიებული იქნება, როგორც ადგილობრივი სახეობის, ასევე, ევროპული და ამერიკული სახეობის ჯიშები/ჰიბრიდები, რომელთაგან გამოირჩევა უფრო მეტად პერსპექტიული

იმისათვის, რომ დაჩქარდეს ჯიშთაცვლა ახალი პერსპექტიული ჯიშებით და ჰიბრიდებით.

- აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2013 წლის 13 დეკემბრის სხდომაზე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა გიორგი მიშელაძემ წარმოადგინა ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშემწყობი პროექტების მიმდინარეობის შესახებ. სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ სააგენტომ საჭიროა გააქტიუროს მუშაობა სოფლად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით.

- აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2014 წლის 20 მარტის სხდომაზე მოისმინა ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროზე, საქართველოს კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ კომიტეტმა ცნობად მიიღო ინფორმაცია - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროზე, საქართველოს კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.ა და საქართველოს პარლამენტის მიერ გადავადებული, საქართველოს კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

- აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2014 წლის 20 მარტის სხდომაზე მოისმინა საქართველოს პარლამენტის მიერ გადავადებული, საქართველოს კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ. კომიტეტმა ცნობად მიიღო ინფორმაცია - საქართველოს პარლამენტის მიერ გადავადებული, საქართველოს კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

- აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2014 წლის 20 მარტის სხდომაზე მოისმინასაქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების საქმიანობის ეფექტურობის შესახებ. კომიტეტმა ცნობად მიიღო ინფორმაცა - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ტერიტორიული ორგანოების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების საქმიანობის ეფექტურობის შესახებ.

- აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2014 წლის 14 მაისის სხდომაზე მოისმინა მეფუტკრეობის ასოციაციის პრეზიდენტის გ. კეპაშვილის მიერ წარმოდგენილი საქართველოში მეფუტკრეობის განვითარების სტრატეგიის თაობაზე 2014-2020 წლებში. წარმოდგენილი სტრატეგიის მიზანია: მეფუტკრეობის, როგორც სოფლის მეურნეობის ეკონომიკურად ეფექტური დარგისა და მზარდი საექსპორტო პოტენციალის მქონე ბიზნესის განვითარება; პროგრესული საზოგადოების, სხვადასხვა ფორმით კოოპერაციის მხარდაჭერით, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვით მეფუტკრეობის პროდუქციის მოცულობის გაზრდა და გარანტირებული ხარისხის მიღწევა; სოფლად მოსახლეობის თვითდასაქმებისა და დარგში თანადასაქმების, აგრეთვე სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობა.

- აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2014 წლის 14 მაისის სხდომაზე მოისმინა ინფორმაცია - 2014 წლის მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტის მიმდინარეობის შესახებ. კომიტეტმა ცნობად მიიღო ინფორმაცია - 2014 წლის მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტის მიმდინარეობის შესახებ და პროექტის ფარგლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაწეული მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად.

- აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2014 წლის 14 მაისის სხდომაზე მოისმინა ინფორმაცია - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობისშესახებ. აღნიშნა, რომ 2014 წლის 27 იანვრიდან, სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითრების სააგენტომ განაცხადა მზადყოფნა კოოპერატივებისათვის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სტატუსის მინიჭების თაობაზე. 2014 წლის 1 მაისის მდგომარეობით, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი მიენიჭა 40კოოპერატივს. სააგენტომ გამართა 38 საინფორმაციო შეხვედრა რეგიონალურ და რაიონულ დონეზე. აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში სააგენტოს წარმომადგენლები შეხვდნენ 2500-მდე ფერმერს. კომიტეტმა სააგენტოს საქმიანობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად.

- აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2014 წლის 29 მაისის სხდომაზე მოისმინა ინფორმაცია - ღორის დაავადებათა პრევენციის შესახებ. ღორის გადამდები დაავადებებისაგან დაცვის ზოგად ღონისძიებებზე, ღორის ვირუსულ, ბაქტერიულ, პარაზიტულ დაავადებებზე, მათ პათოგენეზსა და კლინიკურ ნიშნებზე, დაავადებების შედეგად გამოვლენილ პათოლოგოანატომიურ ცვლილებებზე, მათ დიაგნოსტიკაზე, სპეციფიურ პროფილაქტიკასა და ბრძოლის ღონისძიებებზე.

3. სამუშაო შეხვედრები

- 2013 წლის 19 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი ესპანელ (ანდალუსიის მხარე) ინვესტორებს შეხვდა. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა საქართველოში საინვესტიციო გარემოს შესახებ ისაუბრეს. შეხვედრას ასევე ესწრებოდა საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი და ლაგოდეხის მაჟორიტარი გიორგი გოზალიშვილი. აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ინვესტორებს დეტალურად გააცნო აგრო სექტორში ინვესტიციების დაბანდების პერსპექტივები სეპანელი სტუმრები დაინტერესდნენ სურსათის უვნებლობის სტანდარტებით საქართველოში, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ სტუმრებს მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებები გააცნო.

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან დაკავშირებული პრობლემები იყო განხილვის თემა აგრარულ საკითხთა კომიტეტის სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც კომიტეტის წევრებთან ერთად აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელები, მეცნიერები, ამ სექტორში დასაქმებული არასამთავრობო ორგანიზაციები დამოწვეული ექსპერტები ესწრებოდნენ. განხილული იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის დადგენილება, რომელიც შეეხებოდა ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების" კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს. შეხვედრაზე გამოიკვეთა, აუცილებელობა

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულები მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელ ცვლილებებზე. სამუშაო შეხვედრაზე დეტალურად იქნა განხილული მიწის ფონდის თემა და ზოგადად პოლიტიკა ამ მიმართულებით.

- კომიტეტმა სამუშაო შეხვედრა გამართა იმერეთის რეგიონში სურსათის უვნებლობის კუთხით შექმნილი მდგომარეობის და სასაკლაო განვითარებისთაობაზე.სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროსდა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ასევე ხორცის ადგილობრივი რეალიზატორები. შეხვედრაზე განხილული იყო რეგიონში ხორცის რეალიზებასა და მასთან დაკავშირებული სანიტარულ-ვეტერინალური საკითხები.

- საქართველოს მთავრობის 2014–2017 წლების პრიორიტეტები და პროგრამები სოფლის მეურნეობის სფეროში, რომელიც შედგა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით .სამუშაო შეხვედრაზე პარლამენტის წევრების გარდა, მოწვეული იყვნენ საქართველოს მთავრობის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, შესაბამის სფეროში მოქმედი არასამთავრობო დასაერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათი მონაწილეობით გაიმართა საქმიანი დისკუსია იმის თაობაზე, თუ რამდენად აქტუალურია ქვეყნის აგარული სექტორისათვის ზოგიერთი პროგრამის სახელმწიფო დაფინანსებით უზრუნველყოფა. გამოითქვა მოსაზრება, რომ ბიუჯეტის განხილვის ადრეულ ეტაპზე საზოგადოების ჩართულობას დიდი მნიშვნელობა აქვს პრიორიტეტების განსაზღვრისათვის. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა თანამშრომლობა ბიუჯეტის ფორმირების ადრეულ ეტაპზე იმის გარანტიას იძლევა, რომ პროგრამულ დაფინანსებაში მოხვდება ყველა ის პრიორიტეტი, რომელიც დღეისათვის აქტუალურია.

4. სამეცნიერო სექტორთან თანამშრომლობა

- 2013 წლის 15 ოქტომბერს აგრარულ საკითხთა კომიტეტმა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად გამართა სამუშაო

შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა საქართველოს მეცხოველეობის სექტორში არსებულ პრობლემებს. შეხვედრისას მიმოხილული იქნა ის პრობლემები, რომელიც ხელს უშლის დარგის განვითარებას. ასეთად რძისა და ხორცის წარმოების თანამედროვე მეთოდებში, კვებასთან დაკავშირებული საკითხების, დაავადებათა პრევენციის, დიაგნოზის დასმის დაბალი გამოცდილება დასახელდა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სუსტია გამოცდილება პირუტყვისთვის საკვების წარმოებაში და საკვების რაციონის გათვლაში. სამუშაო შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა რძისა და ხორცის წარმოებასთან დაკავშირებულ სირთულეებზეც. წარმოდგენილი იყო თბილისის ნატურალური რძით მომარაგების გეგმა. დისკუსიის დროს გამოიკვეთა, რომ არ არსებობს საინფორმაციო ბაზა, მოშლილია ვეტერინარიის სისტემა, არის განათლების დაბალი დონე, გლეხებისთვის და მეწარმეთათვის აუცილებელია ტრეინინგების ორგანიზება.

- 2013 წლის სექტემბერს აგრარულ საკითხთა კომიტეტმა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად გამართა სამუშაო შეხვედრა, რომელიც საქართველოში ვენახეობა-მეღვინეობის განვითარებას მიეძღვნა. აღნიშნულ შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ: სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოს, მევენახეობა - მეღვინეობაში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები. განხილული იქნა შემდეგი საკითხები: ქართული საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა, ქართული ღვინის პოპულარიზაცია, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო და ეროვნულ ორგანიზაციებთა ნურთიერთობების გაღრმავება და სხვა. შეხვედრაზე გამოიკვეთა სამუშაო ჯგუფის შექმნის აუცილებლობა, რომელიც იმუშავებს ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელ ცვლილებებზე.

5. კომიტეტის მონაწილეობით გამართული კონფერენციები, სემინარები

- 19 იანვარს ქ. თბილისში, „სასტუმრო ჰოლიდეი ინ“-ში, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის ინიციატივით და საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა (EPI) მხარდაჭერით, ჩატარდა კონფერენცია - „აგრო-დაზღვევა: კონცეფციიდან განხორციელებამდე“.

  კონფერენციის მონაწილეებს აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, გიგლა აგულაშვილი მიესალმა და აგრო დაზღვევის საკითხის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მისი განცხადებით, ეს მიმართულება კომიტეტის მომავალი წლის საქმიანობის პრიორიტეტებშია გამოკვეთილი და მისასალმებელია დღევანდელი ღონისძიება, რომელიც აგრო დაზღვევის სტრატეგიის მექანიზმების შემუშავებას შეეხება. „ჩვენ, კომიტეტში ვფიქრობთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და უცხოელ ექსპერტებთან ერთად, შევქმნათ ჯგუფი, რომელიც საკანონმდებლო ინიციატივებს და პროექტებს შეიმუშავებს. აგრო დაზღვევა მნიშვნელოვანია, რადგან დღემდე ვაწყდებით გაუცხოებას ფერმერსა და სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლებს შორის და ჩვენ ვეცდებით ეს გაუცხოება დავაახლოვოთ“, - აღნიშნა გიგლა აგულაშვილმა. აგრო დაზღვევის დანერგვასა და ესპანეთის გამოცდილების გაზიარებაზე ისაუბრა საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის თავმჯდომარემ, დევი ხეჩინაშვილმა. მისი ინფორმაციით, აგროდაზღვევა ერთ-ერთი რთული და ტექნიკური დარგია და მიუხედავად იმისა, რომ ეს მომსახურება საქართველოში 20 წლიან გამოცდილებას ითვლის, მისით დღემდე მცირე რაოდენობის ფერმერები სარგებლობენ. მან იმედი გამოთქვა, რომ ესპანური მოდელის პრეზენტაცია ქართული მხარისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი იქნება. მისასალმებელ სიტყვაში დღევანდელი ღონისძიების და ზოგადად, აგრო დაზღვევის თემაზე სოფლის კონფერენციის მონაწილეებს ესპანეთის გამოცდილება და მოდელის პრეზენტაცია „აგროსეგუროს“ წარმომადგენელმა, ელზა სანჩეზ ელიზომ წარუდგინა. მისი ინფორმაციით,

აგროსეგურო სააქციო საზოგადოებას წარმოადგენს, რომელიც აგროსექტორში ჩართულ 27 სადაზღვევო კომპანიას აერთიანებს. მისივე განცხადებით, აღნიშნული სააქციო საზოგადოების ძირითად ფუნქციებს სადაზღვევო კომპანიების ჩართულობის ორგანიზება, პოლისის და ტარიფის შემუშავება, ზარალების დარეგულირება და კომპენსირება და ფონდის ბუღალტერია წარმოადგენს. ელზა სანჩეზ ელიზომ თავის გამოსვლაში ესპანეთის აგროდაზღვევის ძირითადი პრინციპები და საკვანძო ასპექტები მიმოიხილა და ამ სფეროს განმსაზღვრელ ინსტიტუციურ და საკანონმდებლო მიმართულებებზეც ისაუბრა. მან ქართული აგროსექტორის და სადაზღვევო კომპანიებისთვის რეკომენდაციებიც წარმოადგინა და ყურადღება იმ პარალელებზე გაამახვილა, რაც ესპანურ და ქართული ბაზრისთვის საერთო შეიძლება აღმოჩნდეს. მისი გამოსვლის დასრულების შემდეგ კონფერენციის მონაწილეებს შორის დისკუსია და საქმიანი დიალოგი გაიმართა.

აგროსეგუროს ექსპერტთა ჯგუფი საქართველოში მიმდინარე წლის ნოემბერში ჩამოვიდა. მათ დეტალურად შეისწავლეს აგრარული და აგრო-სადაზღვევო სექტორების მდგომარეობა და ქართველ ექსპერტებთან ერთად აგრო დაზღვევის როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიანი სტრატეგიის განვითარების რეკომენდაციები შეიმუშავეს.

- 17 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი სასტუმრო „ჰოლიდეი ინნში"გამართულ მეცხვარეთა ასოციაციის პირველი კონფერენციას დაესწრო. კონფერენციას ასოციაციის წევრი ფერმერების გარდა, ესწრებოდნენ , სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონფერენციაზე განიხილეს დარგში არსებული მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივები.

6. არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

2014 წლის 8 იანვარს საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გიგლა აგულაშვილმა ფერმერებთან, არასმთავრობო სექტორთან და კომიტეტის აპარატთან ერთად სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე განიხილეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერირების პროცესის მიმდინარეობა- გამოწვევები და პერსპექტივები. შეხვედრას ესწრებოდნენ ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე ნინო ზამბახიძე, მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე ბექა გონაშვილი, შპს "ბიო-აგროს" მთავარი ბიო ტექნოლოგი დავით ჩაჩანიძე, ორგანიზაცია ,,გლობალური გაერთიანება - ქართველი კურსდამთავრებულები ახალი ინიციატივებით" წარმომადგენლები ირაკლი ყიფიანი (თავმჯდომარე). ავთანდილ აბდუშელიშვილი

2014 წლის 9 იანვარს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციაში აგროდაზღვევის საკითხის განსახილველად სადაზღვევო კომპანიების ხელმძღვანელ პირებს შეხვდა. შეხვედრის მონაწილეებმა აგროდაზღვევის კანონპროექტსა და აგროდაზღვევის განვითარების გზებზე იმსჯელეს.შეხვედრას ესწრებოდნენ სადაზღვეო კომპანიათა ასოციაციის თავმჯდომარე დევი ხეჩინაშვილი; სადაზღვეო კომპანია „ალდაგის" გენერალური დირექტორის მოადგილე ქსენია სემიოხინა; სადაზღვეო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგის", ანდერაიტინგის და რისკების მართვის დირექტორი ირაკლი დვალი, ასევე „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის" მენეჯერი ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის საკითხებში გიორგი დარჩია. როგორც აგულაშვილიმა აღნიშნა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის აგროდაზღვევა ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, ამიტომ საპარლამენტო კომიტეტმაც და სამინისტრომაც ამ პროექტის განსახორციელებლად ყველაფერი უნდა იღონოს. მიმდინარე წელს აგროდაზღვევა აგრარულ საკითხთა კომიტეტის ერთ–ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება.

7. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

- 2014 წლის 9 იანვარს, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი "ევროპის სამეზობლო პროგრამა აგროწარმოებისა და სოფლის განვითარებისთვის" (ENPARD) ფარგლებში ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე დეტალურად განიხილებს პროექტების მიმდინარეობის პროცესი, დაგეგმილის ღონისძიებები, მოსალოდნელი შედეგები, იმსჯელეს განხორცილების პროცესში წარმოქმნილი პრობელების მოგვარების გზებზე და ა.შ მოგეხსენებათ, რომ ამ გრანტს ოთხი კონსორციუმი განახორციელებს (ბრიტანული ოქსფამი, ავსტრიული ქეა, შოტლანდიური პიპლ ინ ნიიდ და მერსი კორპსი), რომლებიც 16 ნაციონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციას აერთიანებს, მათ შორის ფერმერთა ასოციაციებსა და საგანმანათლებლო ინსტიტუტებს. პროექტის ფარგლებში საქართველოს ყველა, 45 რაიონში, 160-ზე მეტი კოოპერატივი შეიქმნება, სადაც მინიმუმ 3 ათასი წევრი გაერთიანდება; ისინი ტექნიკურ დახმარებასაც მიიღებენ, საჭირო სერვისებსაც და პირდაპირ ინვესტიციებსაც. ფინანსურ მხარდაჭერას მიიღებენ კოოპერატივები, რომლებშიც ბიზნესზე ორიენტირებული მცირე ფერმერები ნებაყოფლობით გაერთიანდებიან, რომ შედეგად მასშტაბის ეკონომიას, წარმოების მეტ პროდუქტიულობას და გასაღების ბაზრებთან კავშირის განმტკიცებას მიაღწიონ. კოოპერატივის ძალისხმევა მოიცავს როგორც ერთობლივი წარმოებას, ასევე, პროდუქციის დასაწყობებას, ტრანსპორტირებას, გადამუშავებას, მარკეტინგს და რეალიზაციას, ერთობლივი ფონდის მართვას და სხვ. დახმარების ფარგლებში კოოპერატივები ფინანსურ თანამონაწილეობას გაწევენ, რომ მეტად იყვნენ წარმატებისთვის მოტივირებულნი.მცირე ფერმერთა ნებაყოფლობითი გაერთიანება კოოპერატივად ზუსტად ის ორგანიზაციული სტრუქტურაა, რომელიც მათ პროდუქტიულობას გაზრდის და მცირე საოჯახო ფერმერული წარმოების კომერციალიზაციას უზრუნველყოფს. ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოს მთავრობა კოოპერაციის ხელშემწყობ გარემოს ქმნის. უკვე მიღებულია კანონი კოოპერატივების შესახებ და შეიქმნა აგრო-კოოპერატივების სააგენტოც. ევროპის სამეზობლო პროგრამა აგროწარმოებისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD), ევროკავშირის მიერ დაფინანსებული 40 მლნი ევროს მოცულობის პროგრამაა, რომელსაც საქართველოს მთავრობამ ხელი 2012 წლის დეკემბერში მოაწერა და მიმართულია ქვეყანაში სურსათის წარმოების გაფართოვებისა და სოფლად სიღარიბის შემცირებისკენ. საგრანტო შემადგენელს გარდა, ენპარდი მთავრობის უშუალო ფინანსურ დახმარებასაც მოიცავს აგრარული სტრატეგიის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, ექსპერტების მოწვევას და სათანადო ნოუ-ჰაუს მიწოდებას სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის.

კომიტეტის კვლევითი საქმიანობა

კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობდა პარლამენტის აპარატის კვლევით დეპარტამენტთან. დამუშავდა დიდი მოცულობის ინფორმაცია ევროპის განვითარებულ ქვეყნებში აგროდაზღვევის შესახებ. ქარსაფარი და მინდორდაცვითი ზოლების განვითარების შესახებ ევროპის ქვეყნებში. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების საკითხები პოსტსოციალისტურ და განვითარებულ ევროპის ქვეყნებში.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა მოსახლეობასთან ურთიერთობა. კომიტეტი სისტემატურად აწარმოებს მოქალაქეთა მიღებას, განიხილავს კომიტეტში შემოსულ წერილებსა და განცხადებებს. საანგარიშო პერიოდში კომიტეტის სახელზე შემოსულია 164 განცხადება, აქედან მოქალაქეთა 51, საქმიანი 113. ყველა განცხადება კომიტეტის მიერ კონტროლზეა აყვანილი, შესწავლილია, განხილულია და რეაგირების მიზნით გადაცემულია შესაბამის უწყებებისათვის.